



8684/1-6/21 2 17082021

8684/1-6/21

17-08-2021

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ქალბატონ ნათელა თურნავას

ქალბატონო ნათელა,

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

- 2020 წ.-2021 წ. იანვარ-ივნისის განმავლობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების შესახებ, ასევე წინა წლებში პრივატიზებული იმ ობიექტების შესახებ, რომელთა საპრივატიზებო შემოსულობა, სრულად ან ნაწილობრივ, შესაბამისი დონის ბიუჯეტში მიმართულ იქნა 2020წ.-2021წ. იანვარ-ივნისის განმავლობაში შემდეგი მახასიათებლების მითითებით:
 - პრივატიზების ფორმა;
 - საპრივატიზებო ობიექტისა და სახელმწიფო ქონების შემძენის დასახელება;
 - საპრივატიზებო თანხა (საწყისი და საბოლოო, ასეთის არსებობის შემთხვევაში)/საპრივატიზებო საფასური;
 - საპრივატიზებო პირობები;
 - ინფორმაცია სახელმწიფო ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - ხელშეკრულების გაფორმების თარიღი;
 - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით;
 - ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა და 2020წ.-2021წ. იანვარ-ივნისის განმავლობაში პირგასამტეხლოს სახით გადახდილი თანხის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - შესაბამისი დონის ბიუჯეტში მიმართული თანხა 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მათ შორის, 2020 წ. - 2021წ. იანვარ-ივნისის განმავლობაში.
- 2021 წ. ივლის-დეკემბრის პერიოდში სახელმწიფო ქონების განხორციელებული/დაგეგმილი პრივატიზების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან იოსელიანი



KA020162136113321

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 02/5834

06 / სექტემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი, მიმდინარე წლის 17 აგვისტოს 8684/1-6/21 წერილის პასუხად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, დანართის სახით გიგზავნით სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი: 4 ელექტრონული ფაილი.

პატივისცემით,

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად



ოთარი დანელია



KA021700778507921

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N14/55673

01 / სექტემბერი / 2021 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს

საქართველოს პარლამენტის წევრის ლევან იოსელიანის 2021 წლის 17 აგვისტოს N8684/1-6/21 წერილის პასუხად გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას.

პირველი პუნქტის 9 საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2020 წლისა და 2021წ. იანვარ-ივნისის განმავლობაში, პრივატიზებიდან შესაბამისი დონის ბიუჯეტში მიმართულია შემდეგი თანხები:

2021 წელს 6 თვეში გადაირიცხა სულ: 124,601,689.01 ლარი:

სახ/ბიუჯეტში - 93,907,199,64 ლარი - აქედან (ფინანსური 194,556.00 ლარი - არაფინანსური 93,712,644,00 ლარი)

ად/ბიუჯეტში - 28,673,745.37 ლარი.

აჭ/ბიუჯეტში - 2,020,744.00 ლარი.

2020 წელს გადაირიცხა სულ: 120,259,254.22 ლარი: .

სახ/ბიუჯეტში - 95,519,903.02 ლარი - აქედან (არა ფინანსური 95.488.513.69 ლარი - ფინანსური 31,389,33 ლარი)

ად/ბიუჯეტში - 24,153,770.55 ლარი.

აჭ/ბიუჯეტში - 585,580.65 ლარი.

2021 წლის ივლის-დეკემბრის პერიოდში დაგეგმილია 257 000 000 ლარის სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

ამასთან, გაცნობებთ რომ თანდართულ დანართ(ებ)ში ყვითელი ფერით მონიშნულია კონფიდენციალური ხელშეკრულებები.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერა/ 
შტამპდასმულია
ელემენტურულად

გიორგი დუგლაძე